სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში

სოფიკო ბერიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

სოფიკო ბერიშვილი

11.06.2024.

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში დარეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) პირველივე მუხლი უთითებს იმაზე, რომ იგი ადგენს მართლმსაჯულების განხორციელების წესებს და შესაბამისად როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები, ასევე სასამართლოებიც ხელმძღვანელობენ აღნიშნული კოდექსით[1].

განაჩენის გამოტანა სისხლის სამართლის პროცესის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს, რასაც წინ უძღვის მთელი რიგი პროცესებისა, რომელთა მთავარი მიზანია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებების შეგროვება და აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე დამნაშავის დასჯა. თუმცა, იმისათვის რომ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, აუცილებელია დანაშაულის არსებობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც ისჯება კანონით და აწესებს შესაბამის სასჯელსაც. ამასთან კანონმდებელი ყოველთვის არ მიიჩნევს საჭიროდ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში სსკ) მე-13 თავში განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობა წარმოადგენს დროის მონაკვეთს პირის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მისი ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემამდე. ზემოხსენებული მუხლის პირველ ნაწილში უთითებს, რომ აღნიშნული

[1] საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი* (თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2009) მუხლი 1

ვადის გასვლა იწვევს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.[2] მიუხედავად სსკ-ის 71-ე მუხლის ამ იმპერატიული ჩანაწერისა, საქართველოს სისხლის სამართალი საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი მოსამართლეს ავალდებულებს, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გასვლის საფუძვლით გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისგან გათავისუფლებით[3]. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ კანონი უშვებს შესაძლებლობას სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მაინც დადგეს პირის პასუხისმგებლობის საკითხი, აღნიშნულმა კი პრაქტიკაში, მართმსაჯულების განხორციელებისას შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული პრობლემები.

[2] საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს სისლხის სამართლის კოდექსი* (თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999) მუხლი 71

[3]საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი* (თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2009) მუხლი 269

Abstract

The administration of criminal justice in any legal state is regulated by the relevant legislation. The very first article of the Georgian Criminal Procedure Code indicates that it establishes the rules for the administration of justice, and accordingly, both criminal prosecution bodies and courts are guided by the said code.

Sentencing is the final stage of the criminal process, which is preceded by a series of processes, the main purpose of which is to collect evidence related to a specific criminal case and punish the offender based on said evidence. However, in order for the issue of criminal liability of a person to arise, the existence of a crime is necessary. The Criminal Code of Georgia defines the actions that are punishable by law and imposes the corresponding punishment. In addition, the legislator does not always consider it necessary to hold a person criminally responsible, and in Chapter 13, he defines the grounds, in the presence of which a person is exempted from criminal responsibility.

According to Article 71 of the Criminal Code, the criminal statute of limitations is the period of time from when a person commits a crime to being held accountable as an accused, and in the first part of the above-mentioned article, it is indicated that the expiry of the said period leads to the release of the person from criminal liability. Despite this imperative norm of Article 71 of the Criminal Procedure Code of Georgia, Article 269, Section 5, Sub-Clause „b“ of the Criminal Procedure Code of Georgia obliges the judge to issue a guilty verdict on the basis of the expiration of the statute of limitations for criminal prosecution at the time of rendering the verdict by imposing a sentence and exempting it from serving it. Based on the above, it is clear that the law allows the possibility of the issue of a person's responsibility even after the expiration of the criminal statute of limitations, and this may cause some problems in practice, in the administration of justice.